community

The New Apostolic Church around the world

02/2026/GE

ყველაფერი ახალი ქრისტესთან ერთად

რედაქციისგან
სიყვარულისა და
გულმოწყალების ღმერთი

ღვთისმსახურება
ახალი ღვინო, ახალი
ცხოვრება

განათლება
nac.academy – ციფრული და
საერთაშორისო

New Apostolic Church
International

რედაქციისგან

3 სიყვარულისა და გულმოწყალების ღმერთი

ღვთისმსახურება

4 ახალი ღვინო, ახალი ცხოვრება

რეგიონალური ნაწილი

10 სიახლეები საქართველოდან

საბავშვო კუთხე

12 სულთმოფენობის სასწაული

14 სტუმრად აბიგეილთან დაიმონდ სიტიში (კანადა)

განათლება

16 nac.academy – ციფრული და საერთაშორისო

■ თავფურცელი: კანადის ახსე
■ უკანა გვერდი: საფრანგეთის ახსე

სიყვარულისა და გულმოწყალების ღმერთი

ფოტო: საერთაშორისო ახსგ

ძვირფასო ძმებო და დებო,

იესო ქრისტეს აღდგომა ქრისტიანული რწმენის, ჩვენი რწმენის, მთავარ პრინციპს წარმოადგენს და სწორედ მისი მეშვეობით დაადასტურა ღმერთმა იესო ქრსიტეს მოძღვრება და პიროვნება.

იესო ქრისტე მოვიდა და ადამიანებს აუწყა მოძღვრება, რომელიც ყველა სხვა დანარჩენისგან განსხვავდებოდა. მან ღმერთის ჭეშმარიტი ბუნება გააცხადა და უთხრა ხალხს: „ის თქვენი მამაა და ის მოსიყვარულეა.“ მისთვის მნიშვნელოვანი მარტო მისი მცნებების, წესებისა და კანონების დაცვა არ არის. ის თქვენს გულსა და სიყვარულს უყურებს. ის ძალიან ახლოა თქვენთან; ის ზრუნავს თქვენზე. ის გულმოწყალების ღმერთია. ასეთია ჩვენი ღმერთი და არა დამსჯელი და შურისმაძიებელი.

იესო ქრისტეს აღდგომით ღმერთმა დაამტკიცა, რომ იესო ნამდვილად მისი საყვარელი ძეა. ღმერთი მთელი მისი ამქვეყნიური ცხოვრების მანძილზე ზრუნავდა მასზე. მაგრამ მთავარი იესოს გვერდში დგომა იყო, რამეთუ მას, როგორც კაცს, ღვთის სასუფეველში შესვლა და მასთან საუკუნო თანაზიარება შეძლებოდა.

ასეთი იყო იესო ქრისტეს მამა და ეს არის ჩვენი ღმერთი. გვწამს, რომ ღმერთს ვუყვარვართ, და არა იმიტომ, რომ ბევრ ფულს გვაძლევს და არც იმიტომ, რომ ნებისმიერ პრობლემას გვიგვარებს. მისი სიყვარული იმაში მდგომარეობს, რომ იგი ერთგულების ბოლომდე შენარჩუნებისა და მის სასუფეველში შესვლის უფლებასა და ძალას გვაძლევს. ვიცით, რომ იგი ზრუნავს ჩვენზე ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, მაგრამ ეს არ არის მნიშვნელოვანი, მთავარი ის არის, რომ იგი საუკუნო სიცოცხლის მოპოვებაში გვეხმარება.

გულითადი მოკითხვებით, თქვენი

ჟან-ლუკ შნაიდერი

ახალი ღვინო, ახალი ცხოვრება

ფოტოები: კანადის ახსე

ღვთისმსახურება პირველმოციქულ ჟან-ლუკ შნაიდერთან ერთად კიჩენერის (კანადა) ეკლესიაში კვირას, 2025 წლის 19 ოქტომბერს.

მარკ. 2, 22

„არც ახალ ღვინოს ასხამს ვინმე ძველ ტიკებში; თორემ დახეთქავს ახალი ღვინო ძველ ტიკებს, ღვინოც დაიქცევა და ტიკებიც უვარგისი გახდება. არამედ ახალ ღვინოს ახალ ტიკებში ასხამენ.“

კარგად მესმის, რომ ეს ღვთისმსახურება კანადაში განსაკუთრებულია, ვინაიდან სამხ. მოციქული და მისი თანაშემწე პენსიაში გადიან და ახალი სამხ. მოციქული დაინიშნება. ეს განსაკუთრებული მოვლენაა მთელი რეგიონისთვის. მიუხედავად ამისა, უპ. ყოვლისა, ღვთისმსახურებაზე მოვედით. ეს ღვთისმსახურება არ ტრიალებს ამ ორი ძმის გარშემო, რომლებიც პენსიაში გადიან, ან ახალი სამხ. მოციქულის გარშემო. ის თქვენ გეხებათ, თქვენს ხსნას და თქვენს ურთიერთობას ღმერთთან. და ეს მეც მეხება, ჩემს ხსნას, ჩემს ურთიერთობას ღმერთთან. დღეს ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ვესწრებით ღვთისმსახურებას, სადაც ღმერთი მე და შენ გველაპარაკება. ის გადმოგვცემს გზავნილს, რომელიც იმისათვის გვჭირდება, რომ ვუერთგულოთ მას და მზად ვიყოთ ქრისტეს მეორედ მოსვლისთვის. ეს არის ამ ღვთისმსახურების არსი.

ჩვენი ბიბლიური ციტატა აღებულია იესოს საუბრიდან ფარისევლებთან და მწიგნობრებთან. ისინი მას იმას საყვედურობდნენ, რომ ის და მისი მოწაფეები არ იცავდნენ მნიშვნელოვან ტრადიციებს. კერძოდ, საქმე მარხვას ეხებოდა. იესომ აუხსნა, რომ ის სრულიად ახალი ცნობის მოსატანად მოვიდა და, რომ ეს ცნობა შეუთავსებელი იყო ძველ ტრადიციებთან. ეს არის ღვინისა და ღვინის ტიკების მაგალითის საფუძველი.

ჩვენ დღეს ვერ ვაფასებთ, თუ რამდენად ინოვაციური იყო იმჟამად ეს ცნობა. რთული იყო მისი გაგება და კიდევ უფრო რთული მისი მიღება. იესომ თქვა: „თქვენ გსმენიათ ... მე კი გეუბნებით“. ღვთისმოსავი იუდეველებისთვის, რომლებიც მკაცრად იცავდნენ ტრადიციებს, ეს სულიერი რევოლუცია იყო.

რა იყო ახალი მის ცნობაში? ჯერ ერთი, ღვთის არსის მისეული გაგება. იუდეველთათვის ღმერთი მათი მბრძანებელი იყო, რომელიც მათი ნაცნობი მეფეებივით იქცეოდა: ის გამოსცემდა კანონებს, ახორციელებდა თავის ნებას - თუ საჭირო იყო, ძალის გამოყენებითაც - და სჯიდა ურჩებს. ის იცავდა თავის ხალხს, ანადგურებდა რა მათ მტრებს.

იესომ კი ღმერთის ნამდვილი არსი გააცხადა: ის კეთილი და თანაგრძნობით აღსავსე მამაა, სიყვარულისა და წყალობის ღმერთი. ის მიუტევებს. მას უყვარს ცოდვილები. ეს რევოლუცია იყო - და ძნელი მისაღები.

იესომ ადამიანის ღმერთთან ურთიერთობის სრულიად ახალი გაგება დაამკვიდრა. რას ნიშნავს ღმერთის წინაშე სწორად მოქცევა, ე. ი., მართლად ყოფნა? მართლად რომ ჩათვლილიყო, იუდეველს რჯულის წესები და ტრადიციები უნდა დაეცვა. საქმე სწორი წესის სწორ დროს და სწორად გამოყენებას ეხებოდა. ასე ადამიანი ღვთის კურთხევას იმსახურებდა. ასეთი იყო ძველი აღთქმის ეპოქაში სამართლის გაგება.

იესომ ახსნა, რომ წესებისა და ტრადიციების დაცვა საკმარისი არ არის. გადამწყვეტი გულისმიერი განწყობაა - მნიშვნელოვანია ღმერთისა და მოყვასის სიყვარული. პრობლემა ის არის, რომ ეს გულისმიერი განწყობა გარეგნულად მაინც და მაინც არ ჩანს. ყველა ხედავს, რომ იცავ რჯულს, მაგრამ ღმერთისა და მოყვასის მიმართ სიყვარულის ამოცნობა უფრო რთულია.

ამას დაემატა ღვთის კურთხევის სრულიად ახალი გაგება: იმჟამინდელ ადამიანებს ნათელი წარმოდგენა ჰქონდათ იმისა, თუ რა არის კურთხევა: ღმერთი ხალხის მორჩილებას მშვიდობითა და კეთილდღეობით აჯილდოვებდა, მართალს კი - კარგი ცხოვრებით. და პირიქით: ვინც ცუდად იყო, იმსახურებდა ამას, ვინაიდან არასწორად მოიქცა.

იესომ რადიკალურად შეცვალა ეს წარმოდგენა. ნეტარებებში მან გლახაკები, ტვირთმძიმენი და დევნილები ნეტარად სცხო. კურთხევას მათთვის აღარაფერი საერთო არ ჰქონდა მიწიერ კეთილდღეობასთან, არამედ ის საუკუნო სიცოცხლეს ეხებოდა - ღმერთთან სრულ თანაზიარებას. კურთხევის დამსახურებას კი ვერავინ შეძლებს, მისი მიღება მხოლოდ წყალობით

იესო სრულიად ახალ აზროვნებას ითხოვდა: ადამიანებს გულისმიერი განწყობა უნდა შეეცვალათ - ყველაფერი ახალი უნდა ყოფილიყო.

პირველმოციქულს ბავშვები სიმღერით დახვდნენ.

დავრჩეთ ქრისტეს ერთგულნი და უარი ვთქვათ ცოდვასთან ყოველგვარ კომპრომისზე.

არის შესაძლებელი. იმანაც კი, ვისაც მთელი გულით უყვარს ღმერთი და მოყვასი, თავმდაბლად უნდა ითხოვოს წყალობა. ამით ბევრისათვის რწმენის საყრდენს გამოეცალა საფუძველი. მათ სხვაგვარად ჰქონდათ ნასწავლი.

იესომ რწმენის მიზნის გაგებაც შეცვალა. იუდეველებისათვის ეს ღვთისმოსავად გახდომას ნიშნავდა, რომელიც ღმერთისა და მოყვასის მიმართ სამართლიანად იქცევა. იესოსათვის ეს მეტისმეტად ცოტა იყო. ის საკუთარი თავის უარყოფას, ახალ ქმნილებად ჩამოყალიბებას და მის მაგალითზე ორიენტირებას მოითხოვდა - სრულიად ახალი სწავლება, ახალი მოძღვრება.

და ბოლოს, ის ღვთის ხალხის ახლებურ გაგებაზე ლაპარაკობდა. ეს აღარ იყო მხოლოდ ისრაელი, არამედ ხალხი ყველა ერიდან და ტრადიციიდან, რომელიც ყველა საზოგადოებრივი ფენის მორწმუნეთაგან შედგებოდა და რომელიც განსხვავებების მიუხედავად ერთია - ერთიანი ქრისტეს მიმართ რწმენით.

წარმოიდგინეთ, რამხელა რევოლუცია იყო ეს ისრაელისთვის. იესო სრულიად ახალ აზროვნებას მოითხოვდა: ადამიანებს გულიმიერი განწყობა უნდა შეეცვალათ - ყველაფერი ახალი უნდა ყოფილიყო.

ქრისტეს მოძღვრება მარტო ახალი კი არ არის, არამედ უნივერსალურია და მუდმივმოქმედი. მას არ სჭირდება შეგუება. მოსეს რჯული გამუდმებით უნდა შეგუებოდა ახალ გარემოებებს: უდაბნოში სადღესასწაულო კარავს, იერუსალიმში ტაძარს, გაფანტულობაში სინაგოგებს - ეს დღესაც ასეა.

მაგრამ იესომ თქვა: „ცა და მიწა გადავლენ, ხოლო ჩემი სიტყვები არ გადავლენ“ (მათ. 24, 35). მისი სახარება ყველა ადამიანს ეხება ნებისმიერ დროს და ნებისმიერ პირობებში. მის ნათქვამს მოქმედების ძალა აქვს. ეს გზავნილი კი ასე ჟღერს: საუკუნო სიცოცხლის მისაღწევად წყლისა და სულისგან ხელახლა უნდა იშვას ადამიანი, გახდეს ქრისტეს ეკლესიის ნაწილი, გაჰყვეს იესოს მოციქულებს და მიიღოს წმიდა ზიარება. ჩვენ მტკიცედ ვდგავართ ამაზე. არ შეიძლება არც მისი ადაპტაცია და არც შეცვლა. ეს იესო ქრისტეს ჭეშმარიტებაა.

თუმცა ცოტა მაშფოთებს ის, რომ სახარების ეს რადიკალური სიახლე იმჟამადაც და დღესაც

აშინებს ქრისტიანებს. მათთვის ეს მეტისმეტად რთულია და ტრადიციებისკენ მიბრუნება უნდათ. ჯერ კიდევ პავლეს მოუწია გალატელთათვის იმის შეგონება, რომ დარჩენილიყვნენ სახარებაში და კვლავ არ მოქცეულიყვნენ მონობის უღლის ქვეშ - ცოდვის უღლის ქვეშ.

გაიხსენეთ ისრაელი: უფალმა ხალხი ეგვიპტის მონობისგან გაათავისუფლა. ისინი ბედნიერები და თავისუფლები იყვნენ. მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ დაივიწყეს მონობა და ეგვიპტეში ცხოვრების კარგ მხარეებს იხსენებდნენ - ხორცის შეჭამანდსა და პურს.

ასეა ბევრი ქრისტიანის შემთხვევაშიც: ცხოვრება უფრო იოლი იქნებოდა, თუ ცოდვასთან პატარა კომპრომისებზე წავიდოდით. აქ იესო, მართლაც, ძალიან მომთხოვნია. აუცილებელი ხომ არ არის იმის ასი პროცენტით შესრულება, რასაც ის ამბობს ... არა. ვუერთგულოთ ქრისტეს და უარი ვთქვათ ცოდვასთან ნებისმიერ კომპრომისზე.

ღმერთი ხშირად საყვედურობდა ისრაელს, რომ მას მხოლოდ გაჭირვების დროს მიმართავდნენ: როცა ცუდად ჰქონდათ საქმე, მსხვერპლს სწირავდნენ, რამეთუ დახმარებიდა მათ. როგორც კი პრობლემა მოგვარდებოდა, მაშინვე სუსტდებოდა მათი ურთიერთობა ღმერთთან. ზოგი ქრისტიანიც ამგვარი ქცევის მოდელშია ჩარჩენილი. ქრისტემ მოუწოდა მოწაფეებს, რომ ყველაფერი მიეტოვებინათ და მას გაჰყოლოდნენ. ბევრისთვის ეს მეტისმეტად რადიკალური აღმოჩნდა. ისინი

მარცხნივ: სამხ. მოციქულ მარკ ვოლისა და სამხ. მოციქულის თანაშემწე ფრანკ ძურის პენსიაში გასვლა
მარჯვნივ: არნო მატიგის სამხ. მოციქულად დანიშვნა

იესოს მხოლოდ იმიტომ გაჰყვნენ, რომ ამ ცხოვრებაში მიეღოთ მისგან დახმარება. ღმერთთან ისე მიდიოდნენ, როგორც ხანდაზმულ დეიდასთან სტუმრად - სინდისის დასმაშვიდებლად, დახმარების მისაღებად ან მემკვიდრეობის იმედად.

განკითხვისგარეშე:ბევრისიტყვა,ე.წ.ქრისტიანული ქადაგებები, თითქმის მხოლოდ მიწიერ საკითხებს ეხება. თუ ამასა და ამას გააკეთებ, დაიცავ კანონს, კურთხეული იქნები. ნახეთ, რა მდიდარი ვარ. თუ თქვენც ასევე მოიქცევით, თქვენც გამდიდრდებით, რადგან მე კურთხეული ვარ. თუ პატივს სცემ ამ წესებს, კარგ ადამიანებად ჩამოყალიბებას შეძლებთ. ცხოვრება ბევრად უკეთესი იქნებოდა, თუ ყველა დაიცავდა ამ წესებს ...

დაიკარგა საუკუნო სიცოცხლის განზომილება. საქმე ჯერ კიდევ ამქვეყნიურ ცხოვრებასა და მიწიერ ლოცვა-კურთხევას ეხება - უკან ძველი აღთქმისკენ. შეცვლის ასპექტს, საუკუნო სიცოცხლის ასპექტს, თითქმის აღარა აქვს მნიშვნელობა. რა სამწუხაროა! იესო მოკვდა, რამეთუ საუკუნო სიცოცხლე მოენიჭებინა ჩვენთვის - არა იმისთვის, რომ ჩვენი ამქვეყნიური პრობლემები მოეგვარებინა, არც ქვეყნის სამართავად და არც ჩვენს გასამდიდრებლად. საქმე მხოლოდ ამაში რომ იყოს, მაშინ აღარ დაგვჭირდებოდა ახალი აღთქმა; ძველიც საკმარისი იქნებოდა.

ზოგ ქრისტიანს მოსწონს ძველი აღთქმის წესების სიტემა - ის აზრი, რომ ადამიანი სწორი ქცევით ავტომატურად მიიღებს კურთხევას. უფრო მარტივია წესების სიის დაცვა, ვიდრე ახალი აღთქმის მცნებებით ცხოვრება. იქ არ არის გამზადებული სია, სადაც წერია, თუ როგორ უნდა მოიქცეს კაცი, კურთხეული რომ იყოს. იესოს მცნება მარტივია: გიყვარდეს ღმერთი და გიყვარდეს მოყვასი. მუდმივად უნდა შევამოწმოთ საკუთარი თავი, რათა ვიცოდეთ, თუ როგორ უნდა მოვექცეთ ღმერთსა და მოყვასს მოცემულ მომენტში. და როცა ბოლოს ვხვდებით, რომ ქრისტესავით სიყვარულს ვერასოდეს შევძლებთ, უსიამოვნო გრძნობა გვეუფლება. ამ დროს ძველი წესებისკენ მიბრუნება უფრო მოსახერხებლად გვეჩვენება - მაგრამ ის არ არის ახალი აღთქმა.

ძველი ადამი გამუდმებით ცდილობს ჩვენში დაბრუნებას. ჩვენ განახლება გვინდა, მაგრამ ძველ ადამს დარჩენა სურს. მას სჯერა, რომ კეთილი საქმეებით ხსნას დაიმსახურებს. თითქოს ღმერთი ვალდებულია, მიანიჭოს მას ხსნა. და მისთვის მიუღებელია ის, რომ ღმერთი ყველას ერთსა და იმავე მადლს ანიჭებს. ის უსამართლობად თვლის იმას, რომ ისინიც, ვინც ნაკლებ ერთგულებას

პირველმოციქულის თანაშემწე ჰელგე მუჩლერი

სამხ. მოციქულის თანაშემწე არნო მატიგი

სამხ. მოციქული მარკ ვოლი

იჩენენ, იგივეს მიიღებენ, რასაც ის. ცოდვილები უნდა დაისაჯონ.

მაგრამ ღმერთი ამბობს: „ეს შენი საქმე არ არის. მე იმას გადავარჩენ, ვინც მინდა.“ ეს არის ახალი აღთქმა. თუმცა, ძველი ადამი ზრუნავს თავის ეგოზე. ის თავს ახვევს სხვებს თავის ცხოვრების წესსა და აზროვნებას და მოითხოვს, რომ ისინი მოერგონ მას. ეკლესიაშიც: ევროპელებს ევროპული ეკლესია უნდათ, აფრიკელებს - აფრიკული, ჩრდილოეთ ამერიკელებს - ჩრდილოეთ ამერიკული, სამხრეთ ამერიკელებს - სამხრეთ ამერიკული. ამის უკან კი ეს სურვილი დგას: „არ მსურს შეცვლა. მე განვსაზღვრავ, ვინ ვარ, ყველა დანარჩენი კი მე უნდა მომერგოს.“ მაგრამ სად არის მაშინ ქრისტეს მიმდევრობისა და მის მსგავსად გახდომის აზრი? ის დავიწყებას მიეცემა. ყველა იმდენად არის დაკავებული იმით, რომ „მე ასეთი ვარ“, ნამდვილი მიზანი იკარგება. ქრისტე საკუთარი თავის უარყოფისკენ მოგვიწოდებს, რამეთუ დავემსგავსოთ მას. ეკლესიის ერთიანობა ჩვენს ამ საერთო გადაწყვეტილებას ეფუძნება: გავყვეთ იესო ქრისტეს. მაგრამ ძველი ადამი ეწინააღმდეგება ამას.

ძმებო და დებო, ეს მხოლოდ რამოდენიმე ინსპირაციაა დასაფიქრებლად. ქრისტემ სრულიად ახალი მოძღვრება მოიტანა: ღვთის ახალი ხატი, ღმერთთან ახალი ურთიერთობა, კურთხევის ახლებური გაგება, მოწოდება ახალი ქმნილებისკენ და ახალი ხალხი. ბევრ ქრისტიანს დღემდე ეშინია ამის - მათთვის ეს ძალიან ახალია, ზედმეტად მომთხოვნი.

ჩვენ ახალსამოციქულო ქრისტიანები იმიტომ გავხდით, რომ საუკუნო სიცოცხლე გვსურს. საამისოდ კი ვიცით, რომ ახალ ქმნილებად უნდა ვიქცეთ. ეს წყლისა და სულისგან ჩვენი ხელახლა შობით დაიწყო. ეს პროცესი ისევ გრძელდება. ამისთვის გვჭირდება ღვთის სიტყვა, წმიდა ზიარება და და-ძმებთან თანაზიარება. ჩვენ ვმუშაობთ იმაზე, რომ ქრისტეს მსგავსნი გავხდეთ.

რაც უფრო დავემსგავსებით ქრისტეს, მით უფრო გაგვიადვილდება ქრისტეში დარჩენა ყოველგვარი განსხვავებების მიუხედავად.

ძირითადი აზრები

იესო ქრისტე ღვთის არსსა და ნებას გვიცხადებს. მისი მოძღვრება მუდმივმოქმედია. მისი მიზანი ჩვენთვის საუკუნო სიცოცხლის მონიჭებაა. ჩვენ გვიყვარს ღმერთი და მოყვასი. ჩვენი ერთობა ჩვენს იმ ერთობლივ სურვილს ეფუძნება, რომ გავხდეთ ქრისტეს მსგავსნი. .

სიახლეები საქართველოდან

2025 წლის 27 სექტემბერს თბილისში გერმანელი ახალგაზრდების მუსიკალური კვარტეტი ჩამოვიდა. ისინი სომხეთიდან ჩამოვიდნენ, სადაც კონცერტები გამართეს 25-27 სექტემბერს ვანაძორის ახალსამოციქულო ეკლესიაში ადგილობრივ ქალთა გუნდთან ერთად, ასევე ეწვივნენ საბავშვო ბაღს. 27 სექტემბერს საღამოს თბილისში ჩამოვიდნენ. მეორე დღეს თბილისის ეკლესიაში რეპეტიცია ჰქონდათ ადგილობრივ გუნდთან ერთად, ხოლო შემდეგ ღვთისმსახურება გააფორმეს მუსიკალურად. ღვთისმსახურების მერე კი ერთმორწმუნე და-ძმებისათვის კონცერტი ჩაატარეს. შუადღისას სამების ეკლესია და ძველი თბილისი მოინახულეს, საღამოს ერთობლივი ვახშამი გაიმართა. მეორე დღეს ყვარელს ეწვივნენ და იქ ღვინის მარანი დაათვალიერეს, ასევე გაეცნენ ქართული სუფრის ტრადიციებს. 29 სექტემბერს დილით გერმანიაში დაბრუნდნენ.

2026 წლის 11 მარტს საქართველოს მოციქული რენე ფოლმანი ეწვია. საღამოს მან ავლაბრის ეკლესიაში იმსახურა იაკობის ეპისტოლედან აღებული სიტყვით (2, 8): „თუ ასრულებთ სამეუფო რჯულს, წერილის მიხედვით: შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი,' კარგს შვრებით." მოციქულმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ქრისტიანული რწმენის მთავარი პრინციპი სიყვარულის მცნებაა, სადაც ღმერთისა და მოყვასის სიყვარული შედის. უფალმა დაუბარა მოწაფეებს, რომ ისე უნდა უყვარდეთ ერთმანეთი, როგორც მას უყვარს ისინი და ისე უნდა მოექცნენ სხვებს, როგორც თავად უნდათ რომ მოექცნენ. ყველა ადამიანი რომ იცავდეს ამ მცნებებს და ახორციელებდეს პრაქტიკულად, დედამიწაზე სამოთხე იქნებოდაო, აღნიშნა მოციქულმა. თანაიქადაგა მღვდელმა ლაშა სარიშვილმა. ღვთისმსახურება ღვთიური მადლით იყო გაჯერებული: მოციქულმა ნათლობისა და სულიწმიდით აღბეჭდვის საიდუმლოები ჩაატარა. თბილისის თემს კიდევ ორი ახალი წევრი შეემატა.

14 სექტემბერს მოციქული რ. ფოლმანი სამხ. მახარებელ მიშა ხიზანიშვილთან ერთად ახალშენში გაემგზავრა. ახალშენის ეკლესიაში ახალშენისა და ახმეტის თემები სიხარულით მოელოდნენ მოციქულს. ღვთისმსახურებას მოციქულმა საფუძვლად დაუდო ციტატა იოანეს სახარებიდან (13, 5): „მერე ჩაასხა წყალი საბანელში და დაიწყო მოწაფეების ფერხთბანა და იმ ტილოთი შემშრალება, წელზე რომ ერტყა." ღვთისმსახურებაზე მოციქულმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ბიბლიაში მოცემული ეს

გერმანელი ახალგაზრდები ყვარელში

ფოტო: საქართველოს ახ. ს. ე.

გერმანელი ახალგაზრდები მთაწმინდაზე

თბილისი, ღვთისმსახურების შემდეგ

სულიწმიდით აღბეჭდვის შემდეგ

ისტორია საკმაოდ საგულისხმოა, ვინაიდან ის უფალ იესო ქრისტეს ამქვეყნიურ მისიას ნათლად უსვამს ხაზს: იგი ამქვეყნად იმისათვის კი არ მოვიდა, რომ მას ემსახურონ, არამედ იმისათვის, რომ თავად მოემსახუროს; მოწაფეთა ფერხთბანაც ამის მაგალითია, ანუ ამით უფალმა ქრისტიანული ქცევისა და მოქმედების თვალსაჩინო მაგალითი მოგვცა, „ჩვენც უნდა მივბაძოთ მას“, ხაზგასმით აღნიშნა მოციქულმა.

ახალშენიდან იმავე დღეს მოციქული ბათუმისკენ გაემგზავრა. თბილისში მათ ბათუმის თემის წინამძღვარი მახარებელი ზურა ქველაძე შეუერთდა. გზა საკმაოდ დიდხანს, დაახ. 10 საათი, გაგრძელდა, მხოლოდ საღამოს 9 საათზე ჩავიდნენ ბათუმში. მეორე დღეს, ბათუმის ეკლესიაში მოციქულმა ადგილობრივი თემისათვის იმავე სიტყვით იმსახურა, როგორც ახალშენში: იოან. 13, 5. ამ ღვთისმსახურებას ბათუმში მყოფი მღვდელი დონალდიც შემოუერთდა და თანაიქადაგა. ქადაგებაში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე სამხ. მახარებელმა მიშა ხიზანიშვილმა. ღვთისმსახურების შემდეგ მოციქულმა ძმების საათი ჩაატარა. საღამოს ერთად ივახშმეს.

მოციქული რ. ფოლმანი 16 სექტემბერს დაბრუნდა თბილისში თავის თანმხლებლებთან ერთად. მეორე დღეს პენსიაში მყოფი მახარებელი გოჩა ამკოლაძე მოინახულა, რომელმაც ცოტა ხნის წინ გულის ოპერაცია გაიკეთა. მოციქულს შეხვედრები ჰქონდა ასევე ადვოკატთან და საამშენებლო ფირმასთან ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით.

მეორე დილით იგი გერმანიაში გაემგზავრა.

ღვთისმსახურება ბათუმში

სულმოფენობის სასწაული

მოციქულთა საქმეების - 2, 1-47 -მიხედვით

აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს, სულთმოფენობისას, მოციქულები იესოს მიმდევარ კაცებთან და ქალებთან ერთად ერთ სახლში შეიკრიბნენ. ისინი სულიწმიდის ძალის მათზე გადმოსვლას ელოდებოდნენ, როგორც იესომ უთხრა მათ.

უცებ გაისმა ხმაური. ციდან ძლიერი ქარიშხალი წამოვიდა და მთელი სახლი აავსო. ცეცხლის მსგავსი ენები მოედო თვითეულ მათგანს და მოწაფეები სულიწმიდით აღივსნენ. სულიწმიდამ მათ იმის უნარი მისცა, რომ ღვთის დიადი საქმეების შესახებ სხვადასხვა ენებზე ელაპარაკათ. სწორედ იმ დროს ქალაქში იმყოფებოდნენ პილიგრიმები მესოპოტამიიდან, აზიიდან, ეგვიპტიდან, ლიბიიდან და რომიდან. ისინი იერუსალიმის ტაძარში მსხვერპლის შესაწირად იყვნენ ჩამოსულნი. ბევრი პილიგრიმი მივიდა იმ სახლთან, სადაც სულიწმიდით აღვსილი მოწაფეები ელაპარაკებოდნენ მიმსვლელებს. და უცნაური რამ აღმოაჩინეს: გზავნილს ყველა თავის ენაზე ისმენდა. მსმენელები ერთმანეთს ეკითხებოდნენ: „ასეთი რამ რანაირად შეიძლება? ეს კაცები ხომ გალილეველნი არიან. როგორ შეუძლიათ სხვადასხვა ენებზე ლაპარაკი?“ ზოგიერთი ფიქრობდა, რომ მთვრალები იყვნენ ისინი. ამ დროს პეტრემ აიღო სიტყვა. მან თქვა: „აქ არავინ არის მთვრალი. დღეს

დიდი სასწაული ხდება.
ღმერთმა სულიწმიდა
მოგვფინა, როგორც ეს
წინასწარმეტყველთა მიერ
იყო აღთქმული.“
ამის შემდეგ პეტრემ იესოზე
უამბო მათ, იმაზე, თუ როგორ
აცვეს იგი ჯვარს და როგორ
აღდგა იგი მკვდრეთით.
პეტრეს ქადაგება გულზე
მოხვდა ხალხს.
მათ მოციქულებს ჰკითხეს:
„როგორ მოვიქცეთ?“
პეტრემ უთხრა: „მოინათლეთ,
რათა ცოდვები მოგეტევოთ
და სულიწმიდა მიიღოთ.“
ბევრმა ირწმუნა პეტრესი
და მოინათლა. 3000 კაცი
შეუერთდა ქრისტიანულ
თემს.
ისინი ერთად იყვნენ,
ისმენდნენ მოციქულთა
სიტყვებს, ლოცულობდნენ
და პურს ერთად ტეხდნენ.
ყველაფერს, რაც გააჩნდათ,
ერთმანეთს უზიარებდნენ.

წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა 05. 2025 წ; ილუსტრაციები: მირელა ფორტუნატო

სტუმრად აბიგეილთან დაიმონდ სიტიში (კანადა)

ჩვენმა პირველმოციქულმა წლევანდელი დევიზი გამოაცხადა, რომელიც ასე ჟღერს: „დროა, ვაკეთოთ სიკეთე“, რასაც უკვე დიდი ხანია ვაკეთებ. მაგ., სიამოვნებით ვეხმარები ჩვენი თემის პატარა ბავშვებსა და ხანდაზმულებს. ხოლო ჩემი თემის საკვირაო სკოლის მოწაფეებთან და ახალგაზრდებთან ერთად მონაწილეობა მივიღე წინა წლის აქციაში „Coldest Night of the Year“ (წლის ყველაზე ცივი ღამე). ამასთანავე, ფული შევაგროვეთ ლეთბრიჯის უსახლკაროებისთვის.

ჩემი სახელია აბიგეილი, ვარ 13 წლის და ვცხოვრობ კანადაში, დაიმონდ სიტიში. როცა გავიზრდები, მათემატიკის მასწავლებელი მინდა გამოვიდე.

ისიც მახარებს, რომ მომავალში საკვირაო სკოლის მასწავლებელი გავხდები. აქ თქვენ ლეთბრიჯის საკვირაო სკოლის ბავშვებთან ერთად მხედავთ, ეს ის თემია, სადაც მე დავდივარ.

უკვე ოთხი წელია ვიოლინზე ვუკრავ. გამოსვლებიც მქონდა ჩვენს თემში. სურათზე საშობაო დღესასწაულზე მხედავთ, მაშინ „The First Noel“ შევასრულე. თემის დღესასწაულებზე სამსახიობო გამოცდილებაც მივიღე, მაგრამ ჩემი პირველი საჯარო გამოსვლა სკოლის სპექტაკლში შედგა, სადაც განრისხებული დათვის როლი შევასრულე. გარდა ამისა, მიყვარს ფრენბურთისა და კალათბურთის თამაში, ვსრიალებ თხილამურებით და ციგურებით, ვკითხულობ და ვამზადებ ღია ბარათებს.

აქ ჩემს ოჯახთან ერთად მხედავთ: მამაჩემი იოში, დედაჩემი მიშელი, ჩემი უმცროსი და კეიტლინი და ჩემი უფროსი და ოლივია. ჩვენ ახალსამოციქულო რწმენის მეხუთე თაობა ვართ. მამაჩემის დიდი პაპა შვეიცარიაში ესწრებოდა ღვთისმსახურებებს, ვიდრე კანადაში გადმოსახლდებოდა და აქ ოჯახს შექმნიდა.

ეს ლეთბრიჯის ეკლესიის შენობაა. ახალსამოციქულო რწმენა კანადაში ერთმა ახალგაზრდა დამ შემოიტანა, რომელიც გერმანიიდან გადმოსახლდა ვატერლოოსთან ახლოს. პირველი ღვთისმსახურებები მის სახლში ტარდებოდა, და რადგან იგი გამუდმებით ეპატიჟებოდა მეზობლებს, მალე პატარა თემიც ჩამოყალიბდა.

ნეკერჩხლის ფოთოლი, ყველა ვარიაციით, ტიპიური სუვენირია კანადიდან. ეს ნეკერჩხლის სიროფისგან არის დამზადებული. კანადაში გვიყვარს ნეკერჩხლის სიროფი - ბლინებთან ერთად, ან სეზამის და ყაყაჩოს მარცვლებით შეკაზმულ ბეიგელებთან ერთად.

ინგლისურად ნაკვერჩხალს ჰქვია Maple Leaf. ჩვენს ძაღლს ჰქვია მეიპლი, რადგან, როცა ის შვიდი წლის წინ შემოდგომაზე ჩვენთან მოვიდა, ზუსტად ხეებიდან ჩამოცვენილი ფოთლების ფერი იყო. იცით, რომ ნეკერჩხლის ფოთოლი კანადის დროშაზეა გამოსახული?

წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოვიდა 06. 2026 წ. ფოტოები: ბორადი; ; stock.adobe: Paolo, MaskaRad, annapustynnikova, Margrit Hirsch

nac.academy – ციფრული და საერთაშორისო

განათლება ყველგან: ამ დევიზს მიჰყვება საერთშორისო ახალსამოციქულო ეკლესიის ახალი შეთავაზება, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია სასულიერო თანამდებობის მატარებელ პირებზე, რომლებიც ნებაყოფლობით ასრულებენ ამ მსახურებას.

ახალსამოციქულო ეკლესიის ვებსაიტებს nak.org, nac.today და nac.photos ახალი პლატფორმა დაემატა. ახალი საგანმანათლებლო პორტალის სახელია nac.academy. როგორც ამ ორი ვებსაიტების შემთხვევაში, სახელწოდება აქაც პირდაპირ ინტერნეტ-მისამართიც არის. ვინც ბრაუზერში აკრეფს nac.academy-ს, შეუძლია მაშინვე დარეგისტრირდეს ან შევიდეს თავისი არსებული საეკლესიო ანგარიშით (Single Sign-On, SSO).

თეორიაში და პრაქტიკისთვის

სასულიერო ზრუნვა, ქადაგება, ლოცვა ღვთისმსახურებაზე, განსვენებულთა არსი და სასულიერო თანამდებობის გაგება - ეს ის კურსებია, რომლებიც ამჟამად არის ხელმისაწვდომი. სხვა თემები დამუშავების პროცესშია, მაგ, საიდუმლოების გაგება, კონფლიქტების მოგვარება და ლოცვა-კურთხევანი. მოცემულია პირდაპირი ბმულები კატეხიზმოსთან (კატ.), კითხვა-პასუხის კატეხიზმოსთან (კატ-კპ), ლიტურგიის წიგნთან და სასულიერო პირებისთვის განკუთვნილ სახელმძღვანელო დირექტივებთან დაკავშირებით.



ფოტო: საერთაშორისო ახსე

nac.academy-ზე მოცემული კურსები ამჟამად ხელმისაწვდომია ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, ესპანურ, იტალიურ, ინდონეზიურ, ტაგალოგურ, სუაჰილის, ალბანურ და რუმინულ ენებზე. მიმდინარეობს მისი თარგმნა ლატვიურ, ლიტვურ და პორტუგალიურ ენებზე.

სწავლა საკუთარი ტემპით

გაკვეთილები მულტიმედიურ პრინციპზეა აგებული: ტექსტები წასაკითხად ან მოსასმენად, ცხრილები და დიაგრამები, ვიდეოები და ტესტები სხვადასხვა ვარიანტებით მასალის განსამტკიცებლად. ყველას შეუძლია კურსების გავლა ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ ადგილას — დესკტოპზე, ტაბლეტზე ან სმარტფონზე — საკუთარი ტემპით. ტექნიკურ საფუძველს „ილიასი“ წარმოადგენს, ღია კოდის პლატფორმა, რომელსაც იყენებენ უნივერსიტეტები, სამთავრობო უწყებები და საწარმოები მსოფლიო მასშტაბით.

და როგორ შეძლო nac.academy-მ ასეთი მრავალფეროვანი კონტენტის ასე სწრაფად და ეკონომიურად შექმნა? რა თქმა უნდა, ხელოვნური ინტელექტის დახმარებით: თუმცა, ხელოვნური ინტელექტი გამოიყენება მხოლოდ აუდიო და ვიდეო ფორმატში გადაყვანის პროცესში. შინაარსი ეფუძნება ახალსამოციქულო ეკლესიის ოფიციალურ, აქტუალურ სწავლებებსა და განმარტებებს და შემოწმებული და დამტკიცებულ იქნა პირველმოციქულისა და საკოორდინაციო ჯგუფის მიერ.

შესაძლებლობების შექმნა ყველასათვის

სასულიერო პირების მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება ახალი არ არის ახალსამოციქულო ეკლესიისთვის. თუმცა, ამის შესაძლებლობები მსოფლიო მასშტაბით ძალიან განსხვავებულია. ამას პროექტის მენეჯერი განმარტავს ამას nac.academy-ზე მისასალმებელ ვიდეოში.

2023 წელს ჩატარებულმა სამხ. მოციქულთა კრებამაც განიხილა ეს საკითხი შესაბამისი გამოკითხვით. „ზოგიერთ რეგიონში კარგი რესურსებია, ზოგში კი ნაკლები რესურსები და შესაძლებლობები“.

ამიტომ პირველმოციქულმა ჟან-ლუკ შნაიდერმა nac.academy-ს ოფიციალური სტარტი მისცა. განვითარების საწყის ფაზაში 400 მომხმარებელი დარეგისტრირდა აფრიკიდან, ევროპიდან, ამერიკიდან და აზიიდან. 96 პროცენტი დარწმუნებული იყო ამ შემოთავაზებაში, 97 პროცენტი კი მის გაგრძელებას ითხოვს. ახლა ნებისმიერი დაინტერესებული პირი შეძლებს, რომ საკუთარი აზრი შეიქმნას ამ საკითხზე.

მაგალითი: მოდული - განსვენებულთა არსი

„ხოლო ღმერთი მკვდრებისა კი არ არის, არამედ ცოცხლებისა, ვინაიდან მისთვის ყველა ცოცხალია“ (ლუკ. 20, 38).

მოგესალმებით ელექტრონული სწავლების კურსზე „განსვენებულთა არსი ახალსამოციქულო ეკლესიაში“. ეს კურსი გთავაზობთ ძირითად ცოდნას იმის შესახებ, თუ როგორ ესმის ეკლესიას განსვენებულთა მსახურება და როგორ ხორციელდება იგი პრაქტიკაში. რატომ გვჯერა, რომ სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე გრძელდება? დარასნიშნავს ეს ჩვენი წარმოდგენისთვის სულისა და ღმერთთან ახალი ცხოვრების კუთხით? როგორ მოქმედებს ღვთის მადლი და წყალობა და ხსნა იმქვეყნად, და რა მნიშვნელობა აქვს საიდუმლოებს განსვენებულთათვის? რამდენად საფუძვლიანია იმედი იმისა, რომ კვლავ შევხვდებით ჩვენს საყვარელ ადამიანებს, და რით განსხვავდება ახალსამოციქულო გაგება სპირიტიზმისგან?

იმქვეყნიური სიცოცხლის რწმენა

„ვინაიდან ხილული დროებითია, ხოლო უხილავი - საუკუნო“ (2. კორ. 4, 18).

რატომ გვჯერა სიკვდილის მერე სიცოცხლისა?

- ადამიანი შედგება სხეულისგან, სამშვინველისა



და სულისგან“ (შევ. კატ. 3. 3. 4).

- სული ადამიანის პიროვნული ბირთვია. ის ხორციელი სიკვდილის შემდეგაც აგრძელებს არსებობს.
- სულის უკვდავება ეკლესიის რწმენით არის გამყარებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანის ყოფიერება ღმერთის წინაშე და მის მიერ სამუდამოა (შევ. კატ. 3. 3. 2).
- სიკვდილის მერე სიცოცხლეზე წმიდა წერილი მოწმობს, მაგ., წიგნში „სიბრძნე სოლომონისა“ (სიბრძ. 3, 1. 4) და მდიდარი კაცისა და გლახაკი ლაზარეს იგავში (ლუკ. 16, 19-31).

სიკვდილის შემდეგ სულის მდგომარეობა იმის მაჩვენებელია, თუ რამდენად ახლოა ან შორს არის იგი ღმერთთან. სიკვდილი არ ცვლის სულს - ის იგივე რჩება, როგორიც ცხოვრებაში იყო. რწმენა ან ურწმუნოება, შემრიგებლობა ან შეურიგებლობა, სიყვარული ან სიძულვილი ადამიანს არა მხოლოდ ამქვეყნად აყალიბებს, არამედ იმქვეყნადაც. ამ მდგომარეობას ეხება იესოს იგავი მდიდარი კაცისა და გლახაკი ლაზარეს შესახებ (შევ. ლუკ. 16, 19-31), სადაც ლაპარაკია დაცულ ადგილზე და ტანჯვის ადგილზე. გარდაცვლილს შეუძლია გააცნობიეროს მისი მდგომარეობა. ტანჯულებს დახმარების იმედი აქვთ.

რა არის სული?

„ღმერთი მის ყველაზე აღმატებულ ქმნილებას სიცოცხლის ძალას და ღვთიური ბუნებისთვის დამახასიათებელ ისეთ თვისებებს ანიჭებს, როგორიცაა სიყვარული, პიროვნულობა, თავისუფლება, გონიერება, უკვდავება“ (კატ. 3. 3. 2).

- სული უნდა გავიგოთ როგორც ადამიანის პიროვნული ბირთვი. ადამიანი ღვთის ხატია. ამიტომაც მისი პიროვნება სიკვდილის შემდეგაც აგრძელებს არსებობას - ღმერთი მას საუკუნო სიცოცხლეს ანიჭებს.

კურსები ხელმისაწვდომია სხვადასხვა ენებზე, ბმული nac.academy

- უკვდავება ნიშნავს: ადამიანი - ღმერთის წინაშე და მის მიერ - სამუდამოდ რჩება.

რა არის აღდგომის სხეული?

- აღდგომისას ადამიანი ახალი, სულიერი სხეულით შეიმოსება (შევ. კატ. 3. 3. 4).
- ეს სხეული აღარ იქნება „მიწიერი სხეული“, არამედ „სულიერი სხეული“ (1. კორ. 15, 44), ე. ი., სხეულის ახალი ფორმა, რომელშიც წარსული ფიზიკური არსებობაა დაცული.
- მხოლოდ სულისა და აღდგომის სხეულის შეერთების შემდეგ იქნება ღმერთთან სრული თანაზიარება შესაძლებელი, რაც ადამიანის ხსნით დასრულდება.

სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის იმედი იმ რწმენას ემყარება, რომ ღმერთი სულს უკვდავებას მიანიჭებს და აღდგენს. ახალსამოციქულო მრწამსის თანახმად, ხსნის ღვთიური ნება ყველა ადამიანს ეხება - ცოცხლებსაც და მკვდრებსაც. სწორედ ამას ეფუძნება განსვენებილთა არსი: მოძღვრება იმის შესახებ, რომ ხსნას ქრისტეში გარდაცვლილებიც შეიძლება ეზიარონ.

საიდუმლოები განსვენებულთათვის

მოქმედება ამქვეყნად, შედეგი იმქვეყნად?
განსვენებულთა სულებს ჯერ კიდევ შეუძლიათ აირჩიონ ხსნა, ამისათვის მათ ღვთის მადლი და წყალობა სჭირდებათ. მაგრამ როგორ ამართლებს ეს საიდუმლოთა მინიჭების ახალსამოციქულო პრაქტიკას საიქიოში?

საიდუმლოები ამქვეყნად იმქვეყნისთვის
იესო ქრისტეში თავად ღმერთი განკაცდა და გამოსცადა მიწიერი სიკვდილი ტანჯვითა და ტკივილით. ქრისტეს მსხვერპლის წყალობით დამკვიდრდა ყველაფერი, რაც ადამიანს ხსნის მისაღებად სჭირდება. ამდენად, ადამიანები წყლით უნდა მოინათლონ, ცოცხალ მოციქულთა ხელდასხმით სულიწმიდის მადლი მიიღონ და ზიარების დროს ღვთიური რეალობა და მისი კეთილმოწყალება გამოსცადონ.

საიდუმლოებს ყოველთვის აქვს მატერიალური, ხილული ასპექტი და უხილავი მხარე: ხილული ნიშნები და ღვთის უხილავი საქმეები. ეს გარდაცვლილებსაც ეხება. როცა საიდუმლოთა მინიჭება განსვენებულთა ნაცვლად სრულდება, მათი ზემოქმედება საიქიოში მყოფ იმ სულებზე ვრცელდება, რომელებიც ამისკენ ისწრაფვიან. მათ მადლთან და წყალობასთან მისასვლელი ეხსნებათ და ხსნის მიღება შეუძლიათ.

ის, თუ ვის მიენიჭება ხსნა, ღმერთის სუვერენულ ნებად რჩება. არავინ იცის, თუ რომელი სულები იღებენ საიდუმლოებს საიქიოში.

მოციქულთა როლი
მოციქულები მოქმედებენ ქრისტეს ნაცვლად და მისი სახელით (კატ. 7.6 და 9.6.3). ისინი აგრძელებენ იესოს საქმეს, როგორც ეს აღწერილია 1 პეტრეს 3,19-20-ში: თავად ქრისტემ აუწყა მიცვალებულებს სახარება — დღეს მოციქულები იმავე მისიით მოქმედებენ.

პირველმოციქული და სამხ. მოციქულები (ან მათ მიერ უფლებამოსილი მოციქულები) წელიწადში სამჯერ ატარებენ ღვთისმსახურებას განსვენებულთათვის. ამ ღვთისმსახურებებზე საიდუმლოთა მინიჭება იმავე წესით ხდება, როგორც ჩვეულებრივ.

განსვენებილთათვის მიძღვნილ იმ ღვთისმსახურებებზე, სადაც მათთვის საიდუმლოთა მინიჭება არ აღესრულება, შუამდგომლობითი ლოცვა წარმოითქმის. ეს ლოცვა შეიცავს მადლიერებას იმის გამო, რომ იესო ქრისტეს მსხვერპლის წყალობით ხსნა იმ გარდაცვლილებსაც შეიძლება მიენიჭოს, რომლებიც ჯერ არ არიან გამოსყიდულნი. საიდუმლოთა მიღება იმის წინაპირობას ქმნის, რომ ამ სულებს თანაზიარება ჰქონდეთ იესო ქრისტესთან და მიაღწიონ პირმშოობას, რამეთუ საუკუნო სიცოცხლე დაიმკვიდრონ, ე. ი.,

სამერთ ღმერთთან სრული თანაზიარება.

შუამდგომლობითი ლოცვის დროს დაუხსნელ სულთათვის ლოცულობენ, რამეთუ ძალა და რწმენა შეიძინონ მათ და ნდობითა და თავმდაბლად

მიმართონ ქრისტეს. შეიძლება მათ ღვთის მადლისა და საიდუმლოების მიღების მოთხოვნილება გაუჩნდეთ და ხსნაც გამოსცადონ.

მკვდართა აღდგომა

სრულყოფის (აღსრულების) იმედი განსვენებულთათვის საიდუმლოთა მინიჭება მჭიდროდ უკავშირდება აღდგომის რწმენას.

რას ნიშნავს აღდგომა?
მკვდართა აღდგომა ახალსამოციქულო ეკლესიის მრწამსის ერთ-ერთი ძირითადი სარწმუნოებრივი პრინციპია. ის გამოხატავს საუკუნო სიცოცხლის იმედს ღმერთთან თანაზიარებაში.

ქრისტეს მეორედ მოსვლისას მკვდრები აღდგებიან (კატ. 10. 1. 2). განსვენებულთა სულები აღდგომის სხეულს მიიღებენ, სულიერ სხეულს, რომელიც აღარ ექვემდებარება მიწიერ ხრწნას. აღდგომის შედეგად ადამიანი თავის თავდაპირველ მთლიანობას დაიბრუნებს - სხეული და სული ისევ გაერთიანდება.

სრული ხსნა მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა გარდაცვლილის სული აღდგომის სხეულით შეიმოსება, ვინაიდან მაშინ ის იესო ქრისტეს, განსვენებულთა პირმშოს, დაემსგავსება (1. კორ. 15, 20).

აღდგომას განსვენებულებთან კვლავ შეხვედრის იმედიც უკავშირდება. ეკლესიას მიეკუთვნებიან როგორც ცოცხლები, ასევე გარდაცვლილები. ყველას ღმერთთან საუკუნო სიცოცხლის იმედი აქვს. აღდგომისა და ქრისტესთან საბოლოო თანაზიარების დროს ღმერთთან და ურთიერთშორის ახლებური კავშირი იქნება შესაძლებელი. ამასთანავე, აქ ადამიანური წარმოდგენები კი არ იქნება წინა პლანზე, არამედ ყველა გამოსყიდულთა სრული თანაზიარება ღვთის სასუფეველში.

როგორ არ მოიაზრება განსვენებუილთა არსი

არანაირი სპირიტუალური პრაქტიკა ახალსამოციქულო ეკლესიის მიერ განსვენებულთა არსის გაგება სპირიტიზმში არ უნდა აგვერიოს.

სპირიტიზმში მიცვალებულებთან კონტაქტის დამყარებას იმიტომ ცდილობენ, რომ მათგან ინფორმაციები მიიღონ ან შეიძინონ ცოდნა საიქიოს შესახებ. გარდაცვლილები ადამიანის ცნობისმოყვარეობის ობიექტები ხდებიან და იმქვეყნიურ სამყაროს უყურებენ როგორც იმქვეყნის განზომილების გამოკვლევის შესაძლებლობას. ბიბლიის არაერთი ადგილი შეიცავს მკაცრ გაფრთხილებას მსგავს პრაქტიკებთან დაკავშირებით (შევ. რჯლ. 18, 9-12 +1. მეფ. 28, 7-20).

გარდაცვლილთა არსის ერთადერთი ინტერესია ის, რომ სულებისათვის ხსნა გახადოს მისაწვდომი.

არ არის წინაპართა კულტის გაგრძელება
განსვენებულთა არსი არც ტრადიციულ წინაპართა კულტში არ უნდა აგვერიოს.

წინაპართა კულტში გარდაცვლილებს ხშირად ღმერთსა და ადამიანს შორის შუამავლის როლი მიეწერებათ. გარდაცვლილებს თაყვანს სცემენ და მსხვერპლშეწირვითა და რიტუალებით მათი კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობენ. არის ისეთი წარმოდგენა, რომ წინაპრები გავლენას ახდენენ შთამომავალთა ცხოვრებაზე - კარგად ან ცუდად - და ეს დამოკიდებულია იმაზე, საკმარის პატივს მიაგებენ მათ თუ არა.

ახალსამოციქულო რწმენის მიხედვით ღმერთსა და ადამიანს შორის შუამავალი მხოლოდ და მხოლოდ იესო ქრისტეა. ჩვენ კი არ გვჭირდება გარდაცვლილები, არამედ მათ სჭირდებათ ხსნა იესო ქრისტეში.

განსვენებულთა არსი მკვდართა თაყვანისცემა არ არის, არამედ ყველა ადამიანის მიმართ - ცოცხლებისა და მკვდრების მიმართ - ღვთიური სიყვარულის გამოხატულებაა.

სასულიერო პირებსა და დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დარეგისტრირდენ ბმულზე: www.nac.academy.

სარედაქციო კოლეგია:
გამომცემელი: ჟან-ლუკ შნაიდერი, იუბერლანდშტრასე 243, 8051 ციურიხი / შვეიცარია
შპს ფრიდრიხ ბიშოფის გამომცემლობა, ფრანკფურტერშტრასე 233, 63263 ნოი-იზენბურგი / გერმანია
რედაქტორი: სიმონ ჰაინიგერი

პროგრამა

05.04.2026 წ.	მეცი (საფრანგეთი)
12.04.2026 წ.	ვინიპეგი (კანადა)
01.05.2026 წ.	მაკატი (ფილიპინები)
03.05.2026 წ.	ტაგიგი (ფილიპინები)
10.05.2026 წ.	ჰამი (გერმანია)
14.05.2026 წ.	ლანგენთალი (შვეიცარია)
17.05.2026 წ.	სტრასბურგი (საფრანგეთი)
24.05.2026 წ.	კეიპტაუნი (სამხრეთ აფრიკა)
07.06.2026 წ.	ლუანდა (ანგოლა)
14.06.2026 წ.	შტეფა (შვეიცარია)
21.06.2026 წ.	კარლსრუე (გერმანია)
28.06.2026 წ.	კინშასა (კონგოს დრ)

New Apostolic Church
International